**სსიპ სახელმწიფო ქონების**
**ეროვნული სააგენტო**

**23 / აგვისტო / 2024 წ.**

KA021758078882724

№ **1/1-4821**

# ბრძანება

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 10015.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 (დანგრეული) შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ

”სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/ სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, ”სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებისა და ”სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის” უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ებ:**

1.ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში მდებარე 10015.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 (დანგრეული) შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 43.30.42.119) იჯარის უფლებით გაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადით.

2.საწყის ყოველწლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 25 100 ლარი.

3.ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა დადგინდეს 7530 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს 500 ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გადაცემის ვადას არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით.

4.ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) წლიური საიჯარო ქირის გადახდა ყოველწლიურად, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის საკომპენსაციო თანხის - 18 027 (თვრამეტი ათას ოცდაშვიდი) ლარის გადახდა შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

გ) მოიჯარის მიერ, იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ მეიჯარის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების გამოთავისუფლება. ამასთან, იჯარის უფლება არ ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას.

5.საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის  უფლების მიმღების მიერ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

6.დამტკიცდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გამოსაქვეყნებელი განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო  მნიშვნელობის ქონებად.

8.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია